გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების გადახურვის, ცოკოლის და სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

რეგიონული განვითარების მეორე პროექტი

დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ

განახლებულია: 2020 წლის ინავარში

გარემოსდაცვითი სკრინინგი

წარმოდგენილი ქვე-პროექტი არის მეორე ფაზა პროექტისა - გელათის მონასტრის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, რომელიც ხორციელდებოდა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით რეგიონული განვითარების მეორე პროგრამის ფარგლებში.

გელათის სამონასტრო კომპლექსი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. გელათის მონასტერი მდებარეობს სოფელ გელათის მიმდებარედ, დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონში, ქ. ქუთაისიდან აღმოსავლეთით 12 კმ-ში. ქუთაისიდან მონასტრამდე მიდის მოასფალტებული გზა.

სხვადასხვა პერიოდის არქიტექტურული სტრუქტურების, მოზაიკისა და ფრესკების მრავალფეროვნების გამო, გელათის მონასტრის კონსერვაციის პრობლემები განსხვავებული ხასიათისა და სირთულისაა. მსგავსი ტიპის პროექტები უკვე განხორციელებულია, თუმცა ფინანსური რესურსების სიმცირიდან გამომდინარე ხდებოდა მხოლოდ მონასტრების უკიდურესად დაზიანებული ნაწილების და არა მთლიანი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, ა(ა)იპ "საქართველოს მემკვიდრეობის" მიერ შესრულდა გელათის მონასტრის რეაბილიტაციის გენერალური გეგმა. კომპლექსურმა პროექტმა მოიცვა კომპლექსში შემავალი ძეგლების რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის ყველა ძირითადი ასპექტი. 2015 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით მოხდა ამ გეგმის განახლება.

2016-2017 წლებში მსოფლიო ბანკის/მუნიციპალური განვითარების ფონდის RDPII-ის პროგრამის ფარგლებში ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა განახორციელა ღვთისმშობლის ტაძრის ქვის საპირე წყობის საკონსერვაციო სამუშაოები (გარდა მინაშენებისა), ასევე გუმბათის ყელის ქვედა ნიშნულზე გამაგრებითი სამუშაოები დამატებითი უჟანგავი ლითონის სარტყლით და ტაძრის სრულ პერიმეტრზე (გუმბათის გარდა) სარკმელების რეაბილიტაცია.

2017 წლიდან ასევე ამერიკის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ეკვდერების ქვის საპირე წყობის საკონსერვაციო სამუშაოები. ყველა ზემოთ აღნიშნული ღონისძიება ტარდება საერთაშორისო კონსულტანტების მონაწილეობით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, საერთაშორისო ექსპერტების და დონორი ორგანიზაციების ზედამხედველობით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ყველა კანონის გათვალისწინებით. ჩატარებული სამუშაოები სისტემატურად წარედგინება UNESCO-ს, რომლის შეფასებაზე დაყრდნობით, გელათის მონასტერი აღდგენილ იქნა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში.

წინამდებარე პროექტის მიზანია გელათის ღვთისმშობლის ტაძრის სრული რეაბილიტაციისთვის აუცილებელი ქმედებების განხორციელება, კერძოდ:

- ტაძრის ეკვდერების კარნიზების რეაბილიტაცია.
- ეკვდერების მოჭიქული კრამიტით გადახურვა
- გამოვლენილი ისტორიული ლორფინის აღდგენა
- აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ ცოკოლის რეაბილიტაცია

ტაძრის სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია კარნიზების ვიზუალური, ტექნიკური კვლევით დადგინდა არსებული დაზიანებები: ქვების კედლიდან დაშორება, წარმოქმნილი ბზარები, ქვების მთლიანი ან ნაწილობრივი დაკარგვა, ეროზია. ვინაიდან ძირითადი დაზიანებები განპირობებულია ქვების სტრუქტურული და მექანიკური დაზიანებით განსახორციელებელი სამუშაოები მოიცავს: ქვის ზედაპირების შეწამვლას ბიოციდებით, დუღაბის ინექტირებას, დუღაბიდან დაშორებული ქვების უჟანგავი მეტალის ანკერების და მინაბოჭკოვანი არმატურით ჩამაგრებას, გვიანი შეკეთების მოხსნა და ზედაპირზე გამოსული დუღაბის დაფარვას კირის ხსნარით. ქვების განშრევებული ზედაპირების, ბზარებსა და მიკრობზარების კონსოლიდაცია, ზედაპირების წმენდა სხვადასხვა სახის ნადებისაგან.

კრამიტის ბურულის მოწყობა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს: არსებული თუნუქის სახურავი და ხის კონსტრუქციის მოხსნა, ზედაპირის გასუფთავება; არსებული სიცარიელეს შესწავლა, მსუბუქი შემავსებლის შერჩევა და შევსება; სახურავის სიბრტყეზე მინაბოჭკოვანი არმატურის ბადის მონტაჟი და კირდუღაბის ხსნარით მოჭიმვა, რომელიც დაიფარება საიზოლაციო ფენით; საიზოლაციო ფენაზე დამცავი 5 სმ-იანი კირხსნარის მოჭიმვის მოწყობა; კარნიზების გაყოლებით მოჭიქული კერამიკული "ფარდების" განთავსება; "ფარდასა" და კრამიტს შორის სპილენძის ფურცლის წყლის საწვეთურის მოწყობა ორკომპონენტიანი წებოთი და ლითონის სამაგრით, სახურავის ბურულის მოწყობა მოჭიქული კრამიტით კირ. დუღაბზე, ყოველი ცალის უჟანგავი სამსჭვალით და ჰერმეტიკის ჟელეთი ჩაანკერებით; კრამიტის ბურულსა და ქვის კედელის შეერთების ადგილების დამუშავება ჰიდროსაიზოლაციო მასალით.

თლილი ბაზალთის ქვის ლორფინით სახურავის მოწყობის სამუშაოებს წინ უნდა უსწრებდეს არსებული ისტორიული ლორფინის კვლევა, რაც თუნუქის სახურავის მოხსნის შემდეგ იქნება შესაძლებელი. განსახორციელებელი სამუშაოები, დაზუსტების შემდგომ, განხორციელდება იმავე თანმიმდევრობით, როგორც კრამიტის ბურულის მოწყობისთვის განისაზღვრა და და ი ფა როს ა ღდგენილი ლორფინით.

ცოკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის წინასწარი კვლევისას გამოვლენილია იმგვარივე დაზიანებები როგორც კარნიზის ქვის შემთხვევაში. ძირითადი სამუშაოები შემდეგი თანმიმდევრობით და მეთოდოლოგიით უნდა განხორციელდეს: ზედაპირების ბიოციდით მკურნალობა, წინა რესტავრაციის ცემენტის შევსებების მოხსნა მექანიკურად, ნაკერებისა და ბზარების გამოწმენდა ჰაერის ჭავლით, დუღაბის კონსოლიდაცია ინექტირებით, კედლის გულიდან დაშორებული ქვების ჩაანკერება, ქვის-კედლის საპირე წყობის ნაკლული ნაწილების რეკონსტრუქცია არმირებული კირით და კირითვე კედლის ადრ

დაკარგული ნაწილების რეკონსტრუქცია და კირის ნალესობის შეცვლა, ქვის წყობის ახალი ქვით აღდგენა, ცარიელი ადგილებისა და ნაკერების კონსოლიდაცია, ბზარების და მიკრობზარების კონსოლიდაცია, ქვის ზედაპირის გაწმენდა, ქვის ფრაგმენტირებული ადგილების გაერთიანება, ქვის შეხების ადგილების მექანიკური ჩაჭრა, დაძრული ქვების მოხსნა, გასუფთავება და დაბრუნება.

სანიაღვრე სისტემის აღდგენა უნდა განხორციელდეს რამდენიმე ეტაპად შემდეგი თანმიმდევრობით: ისტორიულად არსებული სანიაღვრე სისტემის მდგომარეობის დადგენა და რეაბილიტაცია, ახალი არხის მოწყობა და მისი ჩაბმა ერთიან სისტემაში.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია და გამოსაყენებელი მასალა შეთანხმებული უნდა იყოს საერთაშორისო კონსულტანტთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას განხორციელებული ღონისძიებების თანხვედრა საერთაშორისო პრაქტიკასა და იუნესკოს მოთხოვნებთან, გამოყენებული მასალების შესაბამისობა ავთენტურ მასალებთან. მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ძეგლის მხატვრულ სახეში და სტრუქტურაში ჩარევა.

2014 წლის 6 თებერვალს გამოიცა ბრძანება (#09/12/03) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების საწარმოებლად.

(ა) ზემოქმედების დადგენა

აქვს თუ არა ქვე-პროექტს რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს გარემოზე აქვს მცირე უარყოფითი ზემოქმედება;
რა მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედება ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	მოსალოდნელია, რომ ქვე-პროექტს (UNESCO მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის- გელათის მონასტრის სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო სამუშაოები) ექნება ხანგრძლივი პოზიტიური სოციალური გავლენა. საკონსერვაციო სამუშაოები დაიცავს მონუმენტს შემდგომი დაზიანებისა და საფრთხისგან, ბუნებრივი კატასტროფებისგან და სუსხიანი ამინდისგან. მოსალოდნელია მცირე უარყოფითი ზემოქმედება: როგორც სამშენებლო და მცირე მოცულობის ქიმიური ნარჩენების, ასევე ვიზიტორების ძეგლამდე მისვლის შეფერხების სახით.
აქვს თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ	რაიმე სახის უარყოფითი ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი. უფრო მეტიც პროექტის განხორციელებას ექნება ხანგრძლივი პოზიტიური სოციალური

მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	ზემოქმედება : ტურისტების ნაკადის ზრდისა და ტურისტულ ინფრასტრუქტურაში კერძო სექტორის ინვესტიციების გაზრდით სახით.

(B) შემარბილებელი ღონისძიებები

რა ალტერნატივები იქნა განხილული პროექტის შექმნისას ?	განხილული ალტერნატივები აღნიშნულ ქვე-პროექტს არ შეესაბამებოდა.
რა ტიპის შემამსუბუქებელი ზომებია შემოთავაზებული?	ქვე-პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ნეგატიური გავლენა შესაძლებელია მარტივად შერბილდეს ქიმიური ნივთიერებების, რომელსაც იყენებენ ქვების გასაწმენდად და დასამუშავებლად, მართებული აკუმულირებითა და მართვით. ასევე, სამშენებლო ტერიტორიაზე ქიმიური ნივთიერების ცარიელი ყუთებისა და სხვა ტიპის ნარჩენების (ხარაჩოებისა და ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობების) სწორი განკარგვით.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	ქვების წმენდისა და დამუშავების მეთოდოლოგია ეყრდნობა წარსულ გამოცდილებას მიღებულს მსგავსი ხასიათი პროექტებიდან: ატენის სიონი, ჯვრის მონასტერი, სამთავროს მონასტერი, წმ. გიორგის ეკლესია გელათში.
ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?	არ შეესაბამება

(C) კატეგორიზაცია

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების ზომების (OP 4.01) თანახმად, ქვე-პროექტი კლასიფიცირებულია როგორც გარემოსდაცვითი კატეგორია B და მოითხოვს მცირე კონსტრუქციული და სარეაბილიტაციო საქმიანობისთვის გარემოზე ზემოქმედების მართვის „ჩექლისტის“ შესრულებას.

სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		კი	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		✓
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			
კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგის ინფორმაცია		დიახ	არა
საჭიროებს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		✓	
თუ პასუხი მე-5 კითხვაზე არის „დიახ“ , მაშინ გამოყენებული უნდა იქნას მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა **OP/BP 4.11P- ფიზიკური კულტურული რესურსები** და შემთხვევით აღმოჩენილი ობიექტების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP 4.11-ით და გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.			

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონალური განვითარების მეორე პროექტი (RDP2)
ქვე-პროექტის დასახელება	წარმოდგენილი ქვე-პროექტი არის მეორე ფაზა პროექტისა - გელათის მონასტრის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, რომელიც ხორციელდებოდა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით რეგიონული განვითარების მეორე პროგრამის ფარგლებში. გელათის სამონასტრო კომპლექსი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. გელათის მონასტერი მდებარეობს სოფელ გელათის მიმდებარედ, დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონში, ქ. ქუთაისიდან აღმოსავლეთით 12 კმ-ში. ქუთაისიდან მონასტრამდე მიდის მოასფალტებული გზა. სხვადასხვა პერიოდის არქიტექტურული სტრუქტურების, მოზაიკისა და ფრესკების მრავალფეროვნების გამო, გელათის მონასტრის კონსერვაციის პრობლემები განსხვავებული ხასიათისა და სირთულისაა. მსგავსი ტიპის პროექტები უკვე განხორციელებულია, თუმცა ფინანსური რესურსების სიმცირიდან გამომდინარე ხდებოდა მხოლოდ მონასტრების უკიდურესად დაზიანებული ნაწილების და არა მთლიანი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია. 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, ა(ა)იპ "საქართველოს მემკვიდრეობის" მიერ შესრულდა გელათის მონასტრის რეაბილიტაციის გენერალური გეგმა. კომპლექსურმა პროექტმა მოიცვა კომპლექსში შემავალი ძეგლების რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის ყველა ძირითადი ასპექტი. 2015 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით მოხდა ამ გეგმის განახლება.

	2016-2017 წლებში მსოფლიო ბანკის/მუნიციპალური განვითარების ფონდის RDPII-ის პროგრამის ფარგლებში ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა განახორციელა ღვთისმშობლის ტაძრის ქვის საპირე წყობის საკონსერვაციო სამუშაოები (გარდა მინაშენებისა), ასევე გუმბათის ყელის ქვედა ნიშნულზე გამაგრებითი სამუშაოები დამატებითი უჟანგავი ლითონის სარტყლით და ტაძრის სრულ პერიმეტრზე (გუმბათის გარდა) სარკმელების რეაბილიტაცია. 2017 წლიდან ასევე ამერიკის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ეკვდერების ქვის საპირე წყობის საკონსერვაციო სამუშაოები. ყველა ზემოთ აღნიშნული ღონისძიება ტარდება საერთაშორისო კონსულტანტების მონაწილეობით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, საერთაშორისო ექსპერტების და დონორი ორგანიზაციების ზედამხედველობით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ყველა კანონის გათვალისწინებით. ჩატარებული სამუშაოები სისტემატურად წარედგინება UNESCO-ს, რომლის შეფასებაზე დაყრდნობით, გელათის მონასტერი აღდგენილ იქნა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში. წინამდებარე პროექტის მიზანია გელათის ღვთისმშობლის ტაძრის სრული რეაბილიტაციისთვის აუცილებელი ქმედებების განხორციელება, კერძოდ: - ტაძრის ეკვდერების კარნიზების რეაბილიტაცია. - ეკვდერების მოჭიქული კრამიტით გადახურვა - გამოვლენილი ისტორიული ლორფინის აღდგენა - აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ ცოკოლის რეაბილიტაცია ტაძრის სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია კარნიზების ვიზუალური, ტექნიკური კვლევით დადგინდა არსებული დაზიანებები: ქვების კედლიდან დაშორება, წარმოქმნილი ბზარები, ქვების მთლიანი ან ნაწილობრივი დაკარგვა, ეროზია. ვინაიდან ძირითადი დაზიანებები განპირობებულია ქვების სტრუქტურული და მექანიკური დაზიანებით განსახორციელებელი სამუშაოები მოიცავს: ქვის ზედაპირების შეწამვლას ბიოციდებით, დუღაბის ინექტირებას, დუღაბიდან დაშორებული ქვების უჟანგავი

	მეტალის ანკერების და მინაბოჭკოვანი არმატურით ჩამაგრებას, გვიანი შეკეთების მოხსნა და ზედაპირზე გამოსული დუღაბის დაფარვას კირის ხსნარით. ქვების განშრევებული ზედაპირების, ბზარებსა და მიკრობზარების კონსოლიდაცია, ზედაპირების წმენდა სხვადასხვა სახის ნადებისაგან. კრამიტის ბურულის მოწყობა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს: არსებული თუნუქის სახურავი და ხის კონსტრუქციის მოხსნა, ზედაპირის გასუფთავება; არსებული სიცარიელეს შესწავლა, მსუბუქი შემავსებლის შერჩევა და შევსება; სახურავის სიბრტყეზე მინაბოჭკოვანი არმატურის ბადის მონატაჟი და კირდუღაბის ხსნარით მოჭიმვა, რომელიც დაიფარება საიზოლაციო ფენით; საიზოლაციო ფენაზე დამცავი 5 სმ-იანი კირხსნარის მოჭიმვის მოწყობა; კარნიზების გაყოლებით მოჭიქული კერამიკული “ფარდების” განთავსება; “ფარდასა” და კრამიტს შორის სპილენძის ფურცლის წყლის საწვეთურის მოწყობა ორკომპონენტიანი წებოთი და ლითონის სამაგრით, სახურავის ბურულის მოწყობა მოჭიქული კრამიტით კირ. დუღაბზე, ყოველი ცალის უჟანგავი სამსჭვალით და ჰერმეტიკის ჟელეთი ჩაანკერებით; კრამიტის ბურულსა და ქვის კედელის შეერთების ადგილების დამუშავება ჰიდროსაიზოლაციო მასალით. თლილი ბაზალტის ქვის ლორფინით სახურავის მოწყობის სამუშაოებს წინ უნდა უსწრებდეს არსებული ისტორიული ლორფინის კვლევა, რაც თუნუქის სახურავის მოხსნის შემდეგ იქნება შესაძლებელი. განსახორციელებელი სამუშაოები, დაზუსტების შემდგომ, განხორციელდება იმავე თანმიმდევრობით, როგორც კრამიტის ბურულის მოწყობისთვის განისაზღვრა და დაიფაროს აღდგენილი ლორფინით. ცოკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის წინასწარი კვლევისას გამოვლენილია იმგვარივე დაზიანებები როგორც კარნიზის ქვის შემთხვევაში. ძირითადი სამუშაოები შემდეგი თანმიმდევრობით და მეთოდოლოგიით უნდა განხორციელდეს: ზედაპირების ბიოციდით მკურნალობა, წინა რესტავრაციის ცემენტის შევსებების მოხსნა მექანიკურად, ნაკერებისა და ბზარების გამოწმენდა ჰაერის ჭავლით, დუღაბის კონსოლიდაცია ინექტირებით, კედლის გულიდან დაშორებული ქვების

	ჩაანკერება, ქვის-კედლის საპირე წყობის ნაკლული ნაწილების რეკონსტრუქცია არმირებული კირით და კირითვე კედლის ადრე დაკარგული ნაწილების რეკონსტრუქცია და კირის ნალესობის შეცვლა, ქვის წყობის ახალი ქვით აღდგენა, ცარიელი ადგილებისა და ნაკერების კონსოლიდაცია, ბზარების და მიკრობზარების კონსოლიდაცია, ქვის ზედაპირის გაწმენდა, ქვის ფრაგმენტირებული ადგილების გაერთიანება, ქვის შეხების ადგილების მექანიკური ჩაჭრა, დაძრული ქვების მოხსნა, გასუფთავება და დაბრუნება. სანიაღვრე სისტემის აღდგენა უნდა განხორციელდეს რამდენიმე ეტაპად შემდეგი თანმიმდევრობით: ისტორიულად არსებული სანიაღვრე სისტემის მდგომარეობის დადგენა და რეაბილიტაცია, ახალი არხის მოწყობა და მისი ჩაბმა ერთიან სისტემაში. სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია და გამოსაყენებელი მასალა შეთანხმებული უნდა იყოს საერთაშორისო კონსულტანტთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას განხორციელებული ღონისძიებების თანხვედრა საერთაშორისო პრაქტიკასა და იუნესკოს მოთხოვნებთან, გამოყენებული მასალების შესაბამისობა ავთენტურ მასალებთან. მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ძეგლის მხატვრულ სახეში და სტრუქტურაში ჩარევა. 2014 წლის 6 თებერვალს გამოიცა ბრძანება (#09/12/03) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების საწარმოებლად. გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების გადახურვის, ცოკოლის და სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია	
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: როზანა ნიტი	უსაფრთხოების სპეციალისტი: გარემოს დაცვა - დარეჯან კაპანაძე; სოციალური - სოფია გეორგიევა.

განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: საკონსულტაციო კომპანია „ეპტისა“	სამუშაოთა კონტრაქტორი: ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	საქართველოს საპატრიარქო		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ერეკლე მეორეს სკვერი თბილისი ტელ: 299 03 78 გელათის მონასტერი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ იმერეთის რეგიონში ქ. ქუთაისის აღმოსავლეთით 12 კმ-ში და თბილისის დასავლეთით 253 კმ-ში.		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	საქართველოს საპატრიარქო, გელათის მონასტერი		
ტერიტორიის ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი	გელათის მონასტერი (UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) მდებარეობს დასავლეთ საქართველოში იმერეთის რეგიონში, ქ. ქუთაისიდან 12 კმ-ში სოფელ გელათის განაპირად. ქუთაისიდან მონასტრამდე მიდის მოასფალტებული გზა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არის მოქმედი მონასტერი ღია ვიზიტორებისთვის და გამოირჩევა, როგორც ადგილობრივი, ასვე საერთაშორისო მნახველების სიმრავლით. გელათის სამონასტრო კომპლექსი დაარსდა მეფე დავით აღმაშენებლის დროს 1106 წელს, ღვთისმშობლის შობის სახელობის მთავარი ტაძრის მშენებლობის დაწყებით. ძეგლი მოიცავს XII და XIII საუკუნეებით დათარიღებულ 3 ეკლესიას : ღვთისმშობლის შობის, წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრებს. სამონასტრო კომპლექსი ასევე მოიცავს XVIII და XIX საუკუნეების რამდენიმე საცხოვრებელ ნაგებობას. სამონასტრო კომპლექსი გარშემორტყმულია დაბალი ქვის გალავნით, რომელსაც აქვს ორი შესასვლელი:		

	აღმოსავლეთით მოქმედი შესასვლელი და მეორე სამხრეთით, რომელიც გამოიყენებოდა როგორც მთავარი შესასვლელი. ღვთისმშობლის შობის სახელობის მთავარი ტაძარი მდებარეობს კომპლექსის ცენტრში. ეკლესია მოპირკეთებულია მოყვითალო ფერის კირქვის ფილებით. ვიზუალურად კირქვის ფილები როგორც ჩანს დამუშავებულია სხვადასხვა სამტეხლოში და მათი გამძლეობა განსხვავდება ერთმანეთისგან. ქვებს აქვთ სხვადასხვა ტიპის დაზიანებები: მექანიკური, ბიოლოგიური (ხავსი), გამოწვეული ნალექისა და სეზონური ტემპერატურის ცვლილებებისგან.
მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან	წყალი ხელმისაწვდომია სამშენებლო ტერიტორიაზევე მონასტერში, ხოლო ქვების მოპოვება ხდება უახლოესი ლიცენზირებული კარიერიდან.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები	მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალ რისკიანი B კატეგორიის პროექტი. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად: (i) სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; (ii) ნარჩენები უნდა განთავსდეს მუნიციპალიტეტის უახლოეს ნაგავსაყრელზე შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან წერილობითი ხელშეკრულების შესაბამისად. კონტრაქტორმა „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: - ნარჩენების განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტი - ბუნებრივი ქვის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საჯარო კონსულტაცია	
სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	გარემოს მართვის გეგმის დოკუმენტი განთავსდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე, ხოლო ინფორმაცია მიმდინარე სამუშაოების შესახებ წარმოდგენილი იყო უშუალოდ სამშენებლო ტერიტორიის მიმდებარედ ბანერზე.
დანართები	
დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი და ფოტომასალა დანართი 2: ნებართვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოების წარმოებისთვის. დანართი 3: ხელშეკრულება სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე	

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	**სტატუსი**	**შემარბილებელი ღონისძიებები**
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. შენობის რეაბილიტაცია	[x] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **A**
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **B**
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **C**
	E. მიწის შეძენა[1]	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **D**
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები[2]	[x] დიახ [ ] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **E**
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **F**
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **G**
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[ ] დიახ [x] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი **H**

[1] მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

[2] ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
0. ზოგადი პირობები	ინფორმირება და უსაფრთხოება	a) ინფორმაცია მომავალი სამუშაოების შესახებ მიწოდებული უნდა იქნეს ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იქნეს დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; c) მოპოვებული უნდა იქნეს მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; d) კონტრაქტორი უნდა იქნეს თანახმა, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით; e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში უნდა იქნეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები); f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე. g) კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის ადეკვატური სამედიცინო და ქირურგიული აღჭურვილობა. h) ჯანმრთელობის უსაფრთხოების ნორმების მოთხოვნის საფუძველზე, ქვის ქიმიური წმენდის დროს ტერიტორიაზე ადამიანთა დაშვება უნდა იყოს მკაცრად გაკონტრებული.
A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები	ჰაერის ხარისხი	a) ობიექტზე არ უნდა მოხდეს სამშენებლო მასალების/ნარჩენების ღიად დაწვა;
	ხმაური	a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით;
	წყლის ხარისხი	(a) კონტრაქტორი ვალდებულია მოახდინოს მოწყობა და შესაბამისი ნორმების დაცვა იმ ტერიტორიაზე, სადაც სამშენებლო მასალებია განთავსებული, რათა არ მოხდეს ნატანის შეჩერება, რომ იგი ობიექტიდან მიმდებარე ნაკადულებსა და მდინარეებში არ ჩაედინოს და არ გამოიწვიოს მათი ამღვრევა (b) ქიმიური ნივთიერებები უნდა განთავსდეს სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას, ტერიტორია, სადაც მოხდება მისი გამოყენება უნდა შემოიფარგლოს გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

	ნარჩენების მართვა	(a) მინერალური და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. (b) ობიექტიდან ხშირად უნდა მოხდეს ნარჩენების გატანა და ადგილზე მუდმივად უნდა იყოს შენარჩუნებული სისუფთავე და წესრიგი (c) სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ხე-ტყის მასალა უნდა იქნას გატანილი ტერიტორიიდან, როგორც განსაზღვრულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტთან დადებულ შეთანხმებაში. (d) აკრძალულია ობიექტზე ნარჩენების დაწვა. (e) ტერიტორიიდან ნარჩენების გატანის თაობაზე აუცილებელია ჩანაწერების წარმოება. (f) შესაძლებელია კონტრაქტორმა განმეორებით გამოიყენონ და გადაამუშაონ სათანადო მასალები.
	მასალების მიწოდება	(g) უნდა გამოიყენებოდეს არსებული კარიერების, რომელსაც აქვს სათანადო ოფიციალური თანხმობა ან ძალაში მყოფი ლიცენზია სამუშაოების საწარმოებლად. (h) პიკი საათებში მასალების გადაზიდვა უნდა მოხდეს განსაზღვრული მაქსიმალური სიჩქარის ფარგლებში.
C. ისტორიული შენობები	კულტურული მემკვიდრეობა	2014 წლის 6 თებერვალს გამოიცა ბრძანება (#09/12/03) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების საწარმოებლად.
E. ტოქსიკური მასალები	აზბესტის განკარგვა	(a) სამშენებლო ტერიტორიაზე განთავსებული აზბესტი გარკვევით უნდა აღინიშნოს როგორც სახიფათო მასალა; (b) სახიფათო მასალების კონტეინერები უნდა მოთავსდეს ჰერმეტულ კონტეინერებში, რათა აცილებული იქნას დაღვრა და გამოტუტება (c) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალურად ლიცენზირებული გადამტანებით და გატანილ იქნას ლიცენზირებულ ობიექტზე.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	**რა** პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	**სად** ტარდება მონიტორინგი	**როგორ** უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	**როდის** რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	**რატომ** ხდება პარამეტრის მონიტორინგი	**ვინ** არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

					მინიმუმამდე შემცირება.	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,
აზბესტისა და ნარჩენების მართვა	ქვე პროექტის ობიექტზე განთავსებული აზბესტი სათანადოდ უნდა იყოს დალუქული და გარკვევით უნდა აღინიშნოს, როგორც სახიფათო მასალა. უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გატარებული სამშენებლო ობიექტიდან უნებართვოდ გატანის თავიდან ასაცილებლად.	სამშენებლო ობიექტზე	დოკუმენტაციის და სამუშაოების ინსპექტირება	სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში	ტოქსიკური მასალებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. მუშების ჯანმრთელობის დასაცავად.	მგფ და სამუშაოთა ზედამხედველები
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა					

დანართი 1: სარეაბილიტაციო გზის მდებარეობა და ფოტომასალა







დანართი 2. ნებართვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოების წარმოებისთვის.

კ ულ ტ ურ ულ ი მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი ს
ძ ე გ ლ ზ ე ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი ს
ს ა ნ ე ბ ა რ თ ვ ო მ ო წ მ ო ბ ა

№ 09/12/03

1. ნებართვის მფლობელი

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, საიდენტიფიკაციო (რეგისტრაციის) ნომერი №204426451, მისამართი – ქ. თბილისი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №7.

2. სამართლებრივი საფუძველი

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის დირექტორის მაკა დვალიშვილის 2014 წლის 17 იანვრის №TK01 (შემ: №37 17.01.2014) წერილი; საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტაურაციის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილის აბბა ალაკერდელი მიტროპოლიტ დავითის (მახარაძე) 2013 წლის 12 ნოემბრის №199 (შემ: №91 04.02.2014) წერილი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 თებერვლის № 2/10 ბრძანება.

3. სანებართვო ობიექტი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი – გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარი.

4. შესასრულებული სამუშაო

გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

5. სამუშაოთა შუალედური ანგარიშის წარდგენის ვადა

2014 წლის 5 ივნისი; 2014 წლის 6 ოქტომბერი; 2015 წლის 5 თებერვალი; 2015 წლის 5 ივნისი; 2015 წლის 5 ოქტომბერი; 2016 წლის 5 თებერვალი; 2016 წლის 6 ივნისი; 2016 წლის 5 ოქტომბერი;

6. ნებართვის მოქმედება

2014 წლის 6 თებერვლიდან 2017 წლის 10 თებერვლამდე, საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

7. ნებართვა გაცემულია

საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საფუძველზე.

8. სანებართვო მოწმობის გაცემის თარიღი:

06.02.14.

მერაბ ბოჭოიძე
გენერალური დირექტორი

დანართი 3. ნარჩენების განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტი

მომსახურების ხელშეკრულება №42

ქ. თბილისი 11.04.2018წ

შპს **„საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“**, მისი დირექტორის გიორგი **შუხოშვილის** სახით, (შემდგომში წოდებული როგორც "შემსრულებელი") ერთის მხრივ და აააიპ **„ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“** მისი აღმასრულებელი დირექტორის **მარიამ დვალიშვილის** სახით, (შემდგომში წოდებული როგორც "დამკვეთი") მეორის მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საწარმოს წესდების მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემკვეთებელი ორგანიზაციის 2017 წლის 08 თებერვლის №8-ი ბრძანების საფუძველზე, ახორციელებს დაახლოებით 20 (ოცი) ტონა **იურიდიული დან ფიზიკური პირების მიერ წარმოქმნილი ინერტული** და მასთან **გათანაბრებული მყარი ნარჩენის** გასთავსების **მომსახურებას** შემსრულებლის ბალანსზე არსებული ქ. ქუთაისის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (შემდგომში – მომსახურება).

მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 შემსრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს დამკვეთს და უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღნიშნული მომსახურების გაწევა **2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 შემსრულებელის უფლება-მოვალეობები:

3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 მუხლში აღნიშნული მომსახურება.

3.1.2 მომსახურების გაწევისას დაიცვას საერთაშორისო სტანდარტებითა და ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული პირობები.

3.1.3 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დამკვეთისაგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.

3.1.4 დამკვეთისაგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.2 დამკვეთის უფლება-მოვალეობები:

3.2.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოითხოვოს შემსრულებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.2.2 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

3.2.3 შემსრულებლის კუთვნილ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე ნარჩენის შემოტანა უზრუნველყოს სახანძრო და ეკოლოგიურების ნორმების დაცვით.

მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

4.1 1 (ერთი) ტონა **იურიდიული დან ფიზიკური პირების მიერ წარმოქმნილი ინერტული** და მასთან **გათანაბრებული მყარი ნარჩენის** გასთავსების **მომსახურების ღირებულება შეადგენს 10 (ათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.** დამკვეთი, შემსრულებლის მიერ გასაწევი მომსახურების შესაბამის ინახლავრებას უზრუნველყოფს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე ყოველთვიურად ფაქტიურად შეტანილი ნარჩენის საერთო მოცულობის შესაბამისად.

4.2 დამკვეთი ვალდებულია ნარიცხის თანხა შემსრულებლის სანარეო ანგარიშზე შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის ატვირთვიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

4.3 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ მხარეები ადგენენ ნარჩენების განთავსების აქტს, რაც ადასტურებს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

შემსრულებელი---------- დამკვეთი----------

4.4 შემსრულებლის მხრიდან ნარჩენების განთავსების აქტს ხელს აწერს შემსრულებლის სტრუქტურული ერთეულის - რეგიონული მართვის დეპარტამენტის თანამშრომელი შესაბამის რეგიონში.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე - **2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.

მუხლი 6. სადავო საკითხების მოგვარება

დამკვეთსა და შემსრულებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით მხოლოდ წერილობით.

7.2 ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი ორგანიზაციის 2017 წლის 08 თებერვლის №8-ი ბრძანების დანართში, რომლითაც რეგულირდება შესატანი ნარჩენის სახეობები და საფასური შეკა რაიმე სახის ცვლილება, ხელშეკრულება დაკორექტირდება შესაბამისად.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება შემსრულებელთან.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსრულებელი:

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, იურიდიული მის: ქ.თბილისი, ალექსანდრეს №12, ფაქტიური მის: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №10 მე-4 სართული, საიდენტიფიკაციო კოდი: 404942470, საბანკო რეკვიზიტები: ბანკი: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის ნომერი: GE51TB7161936080100005.

ხელმოწერა ---------- გიორგი შუხოშვილი

დამკვეთი:

აააიპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“ იურიდიული მის: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნიკოლაძის ქ., N7 საიდენტიფიკაციო კოდი: 204426451

ხელმოწერა ---------- მარიამ დვალიშვილი

LTD SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY

Digitally signed by: LTD SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY
DN: CN = LTD SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY C = GE O = LTD SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY
Date: 2019.02.05 13:28:28 +03'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N22

ქ. თბილისი 05.02.2019წ.

ერთი მხრივ, შპს "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია" წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი შუხოშვილის** სახით, (შემდგომში წოდებული - როგორც "მიმწოდებელი") და მეორე მხრივ, ააიპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის **მარიამ დვალიშვილის** სახით (შემდგომში წოდებული - როგორც "შემსყიდველი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად და მომწოდებლის წესდების მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ააიპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ, გამართვებული შესყიდვის საშუალებით ქვემოთ მითითებული მომსახურების შესყიდვა.

1.2 მიმწოდებელი, შემსყიდველის მოთხოვნისა და მიმწოდებლის 2017 წლის 08 თებერვლის N8-ო ბრძანების საფუძველზე, ახორციელებს სავარაუდოდ 20 (ოცი) ტონა იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მიერ წარმოქმნილი ინერტული და მასთან გათანაბრებული მყარი ნარჩენების განთავსების მომსახურებას (განთავსება, აგრეთვე განთავსების შემდგომი ნარჩენების ექსპლუატაცია-დამუშავება), მიმწოდებლის ბალანსზე რიცხულ ქ. ქუთაისის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყოლზე. (შემდგომში "მომსახურება").

1.3 CPV 90513000- მომსახურებები არასახიფათო ნარჩენების, ნაგვის დამუშავებისა და გატანის სფეროში.

მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1 დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს შემსყიდველს და უზრუნველყოს იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მიერ წარმოქმნილი ინერტული და მასთან გათანაბრებული მყარი ნარჩენების მიმწოდებლის კუთვნილ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსების მომსახურების გაწევა **2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.**

2.2 შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება.

3.1.2 მომსახურების გაწევისას დაიცვას საერთაშორისო სტანდარტებითა და ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული პირობები, ნარჩენის ნაგავსაყრელზე განთავსების მიზნით.

3.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:

3.2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.

3.2.2 შემსყიდველისაგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.3 შემსყიდველი ვალდებულია:

3.3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს მომწოდებელს მომსახურების ღირებულება.

3.3.2 მომწოდებლის კუთვნილ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე ნარჩენის შემოტანა უზრუნველყოს სახანძრო და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

3.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

3.4.1 მოითხოვოს მომწოდებლისაგან უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება.

3.4.2 მოითხოვოს მომწოდებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.4.3 მომწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში წერილობითი ფორმით, აცნობოს მომწოდებელს.

3.4.4 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საორიენტაციო მთლიანი და ჯამური ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

4.2 1 (ერთი) ტონა იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მიერ წარმოქმნილი ინერტული და მასთან გათანაბრებული მყარი ნარჩენების მიმწოდებლის კუთვნილ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსებასთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულება შეადგენს –10.00 (ათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.3 შემსყიდველი, მოწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისი თანხის ანაზღაურებას უზრუნველყოფს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე ფაქტიურად შეტანილი ნარჩენის საერთო მოცულობის შესაბამისად.

4.4 შემსყიდველი ვალდებულია ჩარიცხოს თანხა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე (საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის ნომერი: GE51TB7161936080100005) მომსახურების გაწევის თაობაზე ანგარიშ-ფაქტურის ატვირთვიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

4.5 მიმწოდებლის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ, მხარეები ადგენენ ნარჩენების განთავსების აქტს, რაც ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

4.6 მიმწოდებლის მხრიდან ნარჩენების განთავსების აქტს ხელს აწერს მიმწოდებლის სტრუქტურული ერთეულის - რეგიონული მართვის დეპარტამენტის თანამშრომელი შესაბამის რეგიონში

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.

მუხლი 6. სადავო საკითხების მოგვარება

შემსყიდველსა და მომწოდებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რომელიც უნდა იყოს წერილობითი. ზეპირ გარიგებებს ძალა არა აქვთ.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

მიმწოდებელი შპს "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია" ს/კ 404942470	შემსყიდველი ააიპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი ს/კ 204426451
გიორგი შუხოშვილი	მარიამ დვალიშვილი